

ანტიტუბერკულოზური მკურნალობის მიმართ ტუბერკულოზით  
დაავადებული პაციენტების დამყოლობის განმსაზღვრელი ძირითადი  
ფაქტორები

ნინო მაღრაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს  
სკოლაში ჯანდაცვის მენეჯმენტში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა, მედიცინის აკადემიური დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2015

## განაცხადი

*„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“*

*ნინო მაღრაძე*

*20.06.2015*

## აბსტრაქტი

მსოფლიოში ტუბერკულოზის კონტროლის სრულყოფილი სტრატეგიის შემუშავება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა (WHO) და ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა საერთაშორისო კავშირის (IUATLD) მიერ მსოფლიოს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებისადმი რამოდენიმეჯერ იქნა შეთავაზებული ტუბერკულოზის კონტროლის სისტემის სხვადასხვა მოდელი. ყველა მოდელი თავის თავში მოიცავდა პაციენტებსა და პროვაიდერს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებას, მათ შორის გარკვეული კავშირის ჩამოყალიბებას რომელიც ხელს შეუწყობდა პაციენტებში დაავადების შესახებ განათლების ამაღლებას და შესაბამისად მათი დამყოლობის გაზრდას მკურნალობის მიმართ.

საქართველოში ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადების ეროვნული ცენტრის ბაზაზე ჩატარებულია რამოდენიმე კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა პაციენტების დამყოლობის განსაზღვრელი ფაქტორების გამოკვეთა. ამჟერად კვლევაში წარმოდგენილია ერთის მხრივ იმ პაციენტების სტატისტიკური მონაცემები იმ პაციენტებისა რომლებმაც დაიწყეს და შეწყვიტეს მკურნალობა 2012-2014 წწ. მეორეს მხრივ დელფიური კვლევის საფუძველზე გამოვლენილი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ პაციენტების გადაწყვეტილებაზე - შეწყვიტონ მკურნალობა. პროვაიდერებთან ჩაღრმავებული ინტერვიუ საშუალებას გვაძლევს ნაწილობრივ განვსაზღვროთ თუ რამდენად იცნობენ ისინი საკუთარ პაციენტებს, რამდენად ხშირი კონტაქტი აქვთ მათთან. საინტერესოა იმის განხილვაც, თუ რამდენად დაყვანილია ექიმის მიერ პაციენტის განათლება მოვალეობის დონეზე, რამდენად შეესაბამება არსებული მკურნალობის რეჟიმი პროვაიდერისა და პაციენტის მოთხოვნებს, და გავიგოთ უშუალოდ პროვაიდერების მოსაზრება პაციენტების დამყოლობის განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ტუბერკულოზი, დამყოლობა, ტუბერკულოზის მკურნალობა.

## **Abstract**

Developing of the world TB control strategy is one of the topical issues of a global public health service. Several different models of TB control system has been proposed for the developed and developing countries, by the World Health Organization (WHO) and the International Union for Tuberculosis and Lung Diseases (IUATLD). All models included improving communication between patients and providers as a part of strategy, which would lead to close relationship between doctor and patient and that would increase patient's level of knowledge about the disease and improve adherence to the therapy.

National Center for Tuberculosis and Lung Diseases Georgia has conducted several researches, which were dedicated the decisive factors of patients' compliance. The research presents statistical data of the patients, who stopped treatment and continued again during the 2012-2014 period. On the other hand, based on a qualitative research, were revealed main factors that affect patients' decision - to stop treatment. In-depth interviews with providers allowed to determine how familiar they are with patients. It is interesting to reveal, whether the patient's education is only a duty for the doctor, how the treatment regimen is adjusted to provider and the patient needs, and the factors of patients' adherence with the notion of service providers.

**Key Words: Tuberculosis, Adherence, Tuberculosis treatment.**